ცნობი

№ 14

კვირა,

19 ივლისი

1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: მეორეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ინსერტად ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოხსნებები. პრინციპიალურ წერილებზე გონორარი შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილებით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკების წერილები სუფთათ უნდა იქნას დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань", **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

ყოვლ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

თეატრი

მუსიკა ელექტრიკა

მიხეილის პროსპ., საიუნკრო სასწავლებლის პირდაპირ

დღეს უკანასკნელათ აჩვენებენ:

ჰოლტავის დღესასწაული სელმწიფე იმპერატორის თანდასწრებით.

„დიდი სოტკრი შადენში"

გერცოგის, მისი მეუღლის და მათი ოთხი შვილის თანდასწრებით.

უკანასკნელათ აჩვენებენ:

„კათოლიკოსის შესვედრა თფილისში და სომეხთა სემინარიის საფუძვლის ჩაყრა".

აგრეთვე სხვა ფრიად საინტერესო სურათები.

სხვალ ახალი, ძლიერ საინტერესო პროგრამაა.

პროგრამაზე ზედ-მეტს საღამოს 10 საათის შემდეგ აჩვენებენ

„ჰატარა ფეხები ბერტის" დაწვრილებით პროგრამაში.

სეანსები გაშლად ჰაერზე ფხსები დაწყება.

გაიხსნა ახალი

თფილისის

კერძო სამკურნალო

ლიცა ყოველდღე შოსიარულე ავათმყოფთა ივის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ე. ზ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვების.

ექ. ვ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეიარება მიღება 1 ლ 1 ექტემბრამდე.

ექ. ბ. ა.ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირისა 12—1 ს.; ყმელის, ცხვირის და ყურის ავათყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ფენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომბორელი: ყოველ ღღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა ლიმფით გაიწყვება.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციაც მორიგეობით.

ამ შესახებ ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—15

კაბინეტის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს, საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კეროჩნი ქუჩის ახლოს)

დ. სამტრედიაში

საექიმო კაბინეტი ქირურგიულ ავათმყოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ეგნ. ჯაში. ავათმყოფების მიდება ყოველ დღე.

ქ. ფოთში

ქ-ნ ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით

იხსნება

ქალების კერძო პროფესიონალური სკოლა, სადაც გარდა სხვადასხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების სასიამოვნო და ყველასათვის ხელმისაწდომია. (10—5)

აბასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

თფილისი, 19 ივლისი

„ტიფ. ლისტ." ცნობით 50,000 მან. ბლევინებენ ქუთაისის გუბერნიის ს. ჭდილის და დეისის გლეხებს ადმინისტრაციის განკარგულებით მემამულე თავად გიორგი ამილახვრის სასარგებლოთ. დაწვრილებითი ცნობები ამ ამბავის შესახებ გაზეთში არაფერი არ მოიპოვება და ეს ამბავი კი, იმდენათ დიდია და ღირს შესანიშნავი, რომ ძალა უნებურათ იწვევს ჩვენში ახლო წასულის მოგონებას და მის კვლავ განმეორებას. თავ. გიორგი ამილახვარი დღეს ჩვენში დიდათ ცნობილი პირია, მისგან გლეხების შევიწროება-განადგურება ქართლში არავისთვის საიდუმლოებას აღარ შეადგენს. როგორც სჩანს, ახლა მას თავის მოღვაწეობა იმერეთში გადაუტანია და იქ აპირებს ორი სოფლის მკვიდრთა ერთიანათ მოსპობას. თავ. ამილახვრის ნაფიცი დამცველი, თავ. გ. ამირეჯიბი, ამას წინათ ქვეყანას აუწყებდა „ზაკავკაზიეს" ფურცლებზე მის უმანკოებაზე და უდანაშაულობაზე. ამ უკანასკნელი ამბის შემდეგ აღარ ვიცით, რას იტყვის თავ. გ. ამირეჯიბი თავის კლიენტის სასარგებლოთ! ჩვენთვის თავ. გ. ამილახვარი თავის თავათ არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს, მისი პიროვნება ჩვენ იმდენათ გვაინტერესებს, რამდენათ ის არის ტიპიური წარმომადგენელი ძველი ფეოდალის, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ნადელის სახით ახდევინებს გლეხებს გადასახადს. რომ ვიანგარიშოთ გადახდილი ფულები ბატონის სასარგებლოთ განვლილი ხნის განმავლობაში, რამდენჯერმე დაფარავს ღირებულებას იმ სანადელო მიწებისას, რომლებზედაც გლეხები ცხოვრობენ. ეს მოვლენა წარმოებს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. მხოლოდ ერთი განსხვავებაა: დასავლეთ საქართველოში ბევრმა გლეხმა უკვე გამოისყიდა საკუთარი ძალ-ღონით სანადელო მიწა, აღმოსავლეთ საქართველოში—ისევ ბატონის ბრჭყალებში არის დიდი უმრავლესობა. გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზათ წასულ წლებში, უნდა ჩაითვალოს დროებით ვალდებულ გლეხთა აუტანელი მდგომარეობა; მათ ერთბაშათ იგრძნეს ის ტვირთი, რომელიც მათ კისერზე აწვა ამდენი ხნის განმავლობაში და მოინდომეს მისი გადაგდება კისრიდან. მერე რა საშუალებას მიმართეს ამისთვის? აღარ დაზოგეს არც პარადი სიცოცხლე მემამულისა და არც მისი მამული. ჩვენ სრულიათ არ ვამართლებთ ამგვარ ანარქისტულ მოქმედებას, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ტერორისტული აქტების, ჩვენ ვებრძვით ტყეების, ვენახების და ბაღეულობის გაოხრებას,—ამ გზით სოციალური პრობლემები არც გადაწყვეტილა და არც გადაწყდება, მაგრამ ჩვენ ვაქცევთ საზოგადოების **ყურადღებას** იმ სტიქიაზე, რომელმაც იფეთქა და დაგუბებული გული უკმაყოფილება რა სახით გამოხატა. ასეთი ამბები, როცა ძველი პირობები, ძველი დამოკიდებულებანი გლეხთა და თავადთა შორის ისევ ხელუხლებლათ რჩება, კვლავ მოსალოდნელია. ამის წინააღმდეგ ვინ რას აკეთებს? არავინ ყურს არ იბერტყს. თვითონ მემამულეები არა თუ არ გრძნობენ მთელ თავის უკუღმართობას, მთელ უსამართლობას გლეხების მიმართ, პირიქით, გაბრაზებით შურს იძიებენ და ერთი-ორათ ახდევინებენ იმას, რაც მოძრაობის დროს მათ ზარალი მიადგათ. ამაში პოლიციაც მათ ხელს უწყობს. გაძვალტყავებული გლეხი, რომელმაც რა არ განიცადა ამ უკანასკნელი 4—5 წლის განმავლობაში, ყოველგვარ სახსარს და საშუალებას მოკლებულია რამე უზღოს მადა-გახსნილ ბატონს და ამ ნიადაგზე მწვავდება უსაზღვრო კონფლიქტი. ჯერჯერობით არაფერი სანაყოფო მათგანი არ გამოსულა. ჩვენ მხოლოდ ერთი ვიცით ადგილობრივი ადმინისტრაციის მოქმედებიდან: სასტიკი კრიტიკა გაუწია ს.-დემოკრატიული ფრაქციის კანონ-პროექტს—დროებით ვალდებულ გლეხების უსასყიდლოთ განთავისუფლებას. ს.-დემოკრატიულმა ფრაქციამ, მართლაც, ერთ წელიწადზე მეტია, რაც შეიტანა დუმაში ამგვარი პროექტი, მისი კომისიაში განხილვის ვადაც დაადებინა დუმას, მაგრამ შეასრულებს კი კომისია დუმის დადგენილებას და დროზე წარუდგენს დუმას განსახილველათ? დუმის უმრავლესობაც დიდათ არ იტეხს თავს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე. მაშ, ვინ უნდა ამოიდგას ხმა ამის შესახებ? ვინ უნდა ამცნოს ამის შესახებ რუსეთის პროგრესიულ ნაწილს? თვით ხალხმა. რა ფორმითაც კი შესაძლებელი იქნება ეს ამ პირობებში, უსათუოთ ეს ნაბიჯი უნდა გადადგმულ იქნეს. ამას ექნება თავისი შედეგი და ეს კითხვა გადაწყდება. სულ ხვა, როგორ გადაწყდება: უსასყიდლოთ დაეთმობა მიწები გლეხებს, სახელმწიფო მიიღებს ხარჯებს თავის თავზე, თუ გლეხებს დააწვება კისერზე. გლეხებმა კი, ის უნდა თქვან, რასაც გრძნობენ ისინი და რაზეც მათ სრული უფლება აქვთ, აჯარი უნდა გამოსთქვან ამაზე საზოგადოებამ და პრესამ. კითხვის დახანება და სამერმისოთ გადადება ბევრ არა სასურველ შედეგებს გვიქადის.

ადგლობრივი პრესა

ნ ივლისის ინციდენტის შესახებ კამათი დღემდე არ შემწყდარა. ბ. ან. ფურცელაძეს, რატომღაც ბ. ქრ. ხაჩატუროვის ცამდე შექება დასჭირდა და სათავად-აზნაურო ბანკის მხსნელათ გამოყვანა. თ. დ. ჩოლოყაშვილმა „ზაკავკაზიეში" ამაზე პატეტური წერილით მიმართა ილია ჭავჭავაძის, გ. მაჩაბლის და დ. უიფიანის თანამედროვეთ, აღედგინათ შელახული სიმართლე, თუმცა მათ მოღვაწეობას ბ. ან. ფურცელაძის თანაგრძნობის წერილში გამოთქმული აზრები ვერ შელახავდა.

ეს აღნიშნა კიდეც „დროებამ". ჩვენში ყოველთვის არიან ისეთი კაცუნები, რომელთაც დიდ კაცებათ უნდათ თავი გამოაკვეხონ, მეც ნახირ-ნახირაო. ასე მოიქცა ბ. ვალერიან გუნია და ერთხელ კიდევ თავის ათვალწუნებულ მოწინააღმდეგეს, ან. ფურცელაძეს მაგარ-მაგარი სიტყვებით გაუმასპინძლდა. ამით, რასაკვირველია, ძველი მოღვაწეები კი არ იხსნა, თავის მოწინააღმდეგეს მუჯლუგუნი კრა და ასე, გული მოიფხანა. როგორც მკითხველი დაინახავს აქედან, მთელი ეს „ბრძოლა" მხოლოდ კინკლაობაა, პირად მოწინააღმდეგეთა შორის გაზეთის ფურცლებზე ატეხილი დავაა.

ნ ივლისის მხეცური საქციელით თავი შეირცხვინა ზოგიერთმა ჩვენმა ბრწყინვალე ტარიელ მკლავაძეებმა, თავი შეირცხვინა და სრული ზნეობრივი სიკოტრე გამოიჩინა ბ. ამირეჯიბმა, რომელიც სხვა არა იყოს რა, გაზეთის რედაქტორათ ითვლება. დღეს ცხადზე უცხადესია, რომ მთელი ეს აური-ზაური, ეს ჩხუბი და მის შემდეგ მიყოლებული განგაში მხოლოდ პირადი ანგარიშების გასწორებაა, ეროვნული მანტია და გაზეთის ფურცლები კი ამის ფარათ ნახმარი საშვალებაა.

მოვლენა, როგორც ხედავთ, სამწუხაროა, ის გვიჩვენებს ჩვენი რუსული პრესის სრულ დაცემას—იდეიური ბრძოლის ნაცვლათ პირადი კინკლაობა, აზრის ნაცვლათ მუშტი.

ამ ინციდენტის გარეშემო, როგორც ხედავთ, ხელს იბობენ სხვებიც, რომელთაც ნ ივლისის ინციდენტში პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღიათ და პრესის საშვალებით ზოგნი თავის მეგობრებს ასხამენ ქებათა ქებას, ზოგნი თავის მოწინააღმდეგეთ უმასპინძლდებიან ლანძღვა გინებით. პრესა კი, ყველა ამას ადგილს აძლევს და ასე, ის ამ პირადობის მორევში ეფლობა. იმ წრეებისაგან, რომელნიც ამ გაზეთებს დასტრიალებენ, უკეთესს არც კი მოველოდეთ, ამაზე მაღლა აწევა არ შეუძლიათ, ეს მათი ბუნებრივი ატმოსფეროა. თითო-ოროლა თუ ვინმე მათში სავარგისია, იგიც მათთან ერთათ ისვრება და ყოველი მწიშვნელობა ეკარგება.

ამ პირად მოქმედებათა გამომჟღავნების სიიდან არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი გარემოება: ბ. ქრ. ხაჩატუროვს, როგორც გუშინდელი „ზაკავკაზიე" გადმოგვცემს, ქრთამით მოუსყიდია „გუშაგის" „რედაქტორი" ბ. მიმინო. ე. ი. ისეთი საზიზღარი საქმე ჩაუდენია, რომელიც ჩირქს სცხებს, როგორც ერთს ისე მეორეს, როგორც ქრთამის მიმცემს, ისე მის ამღებს.

ბ. მიმინომ კი, ამას წინეთ ჩვენ გაზეთში სამედიატ. სამართალში გამოიწვია თავ. გ. ამირეჯიბი, როგორც თავ. გ. ამილახვარის რწმუნებული. რადგან ჩვენ გაზეთებში წამოყენებულ ბრალდებებს რედაქცია სავსებით იზიარებს და საბუთიც აქვს მათ დასამტკიცებლათ, ხოლო „მიმინოსთან", რომელსაც ასეთი ჩირქი ეცხება, მას არავითარი საქმის დაჭერა არ სურს, თვით კისრულობს სამედიატორო სამართალში გაყვეს ბ. გიორგი ამირეჯიბს და გაზეთში წამოყენებული ბრალდებები დაამტკიცოს განურჩევლათ იმისა, „მიმინოს" ფსევდონიმითაა ის გამოცხადებული თუ სხვის ი სახელით.

* * *

ამას წინეთ აღნიშნული გვქონდა, რამდენათ მავნებელი და უადგილოა ის მიმდინარეობა ჩვენი საზოგადოების ზედა წრეებში, რომელიც ფიქრობს მხოლოთ რუსეთში დღეს არსებული ერობის შეკოლება ითხოვოს და ამას „რეალურ პოლიტიკის" სახელს არქმევს. „დროების" უკანასკნელ ნომერში (№ 157) მშვენიერი საბუთია იმის, რომ ასეთი „რეალური პოლიტიკოსობა" მთავრობაზე უფრო უკან დახევაა. და ასე, თავის თავის მოტყუვილება: დღეს თვით მესამე დუმის ხელმძღვანელები და მთავრობის წარმომადგენელნი აღარ არიან ძველ ერობით დაკმაყოფილებულნი, და იქაც რეფორმას თხოულობენ:

მოუდრეკელი ან არ არის-რა: როგორც მკითხველებმაც იციან, დღევანდელი ერობის უკანასკნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მართლა ბრძოლისუნარიანი საზოგადოების, თვით მთავრობის მიერაც. რევოლუციის წინა დღეებში—1904 წლის 12 დეკემბერს—უმაღლესმა ბრძანებამ ბრძანებარ ადგილს საერობო რეფორმის დაუყოვნებლივი საჭიროება. ამასთან ერთად აღნიშნული იყო კიდეც ამ რეფორმის ხასიათი: მეტი თავისუფლება უნდა მიეცესო ერობას და გაფართოვდეს სახსნის საარჩევნო უფლება ადგილობრივ თვითმართველობაშიო. ასე რომ, რეფორმა დაგვიანდა კიდეც: ხუთი წელიწადი ოფიციალურათ ეს რეფორმა მაინც საქმეთ ითვლება და ამიტომაც საფიქრებელია, რომ ეხლანდელი მოთქმა-მოთქმა უბრალო ფრაზა ადრე იყოს და ახლო მომავალში საკანონმდებლო დაწესებულებანი მართლა შეუდგენ საქმეს.

შეუდგება თუ არა გუჩკოვის დუმა ამ საკითხს, ახლო მომავალში ამის თქმა ძნელია, მისგან ბევრი დაპირება გვსმენია, ასრულება კი არა. მარა ის კი ცხადია, რომ

ესხა მთავრობა რეფორმისათვის „1904 წელს ადთქმული დემოკრატიზაცია ერობისა ახლა, რუსეთის დღევანდელ მდგომიტიკურ პირობებში, უფრო ძნელათ მოსახერხებელია და მოსალოდნელი, ვიდრე წინათ. ეს ორი წელიწადია ერობა ხელში ჩაიგდო შავრაზმელმა თავად-აზნაურობამ, რომელმაც ორჯერ მოახდინა კრება და მხნე ხელოვნური განცხადა ერობის გადემოკრატების განზრახვის წინააღმდეგ. შემდეგ, „შეერთებულ თავად-აზნაურობის" საბჭო გულმოდგინეთ მუშაობს ერობის რეფორმის განხორციელებისათვის თავად-აზნაურობის ინტერესების მიხედვით. თუ გავიხსენებთ, რა კვეშიერი არსებობს ამ წრეებსა და თავად-აზნაურობას შორის, რომ ფართო რეფორმა ადგილობრივ თვითმართველობისა მოსალოდნელი არ არის".

მართალია, მთავრობა ახლა იძულებულია ცხოვრების აუცილებლობისაგან ერობის დემოკრატიზაციაზე ილაპარაკოს.

„ოქტომბრისტებს სჯეროდა ხელოვნური თქვა უქვე თითქმის დამზადებული".

მათი პროექტი შორს არ წავა და ეს „დროებისათვისაც" ცხადია. არც ის იცის კაცმა ეს „თითქმის დამზადებული" პროექტი ერობისა იქნება სავსებით დამზადებული და დუმაში შეტანილი თუ არა. ჩვენ ვერც იმას მივსცემთ დიდ ფასს, რომ გუჩკოვმა ლონდონში აღიარა ერობის დემოკრატიზაციის საჭიროება, ვერ მივსცემთ, რადგან გუჩკოვის სიტყვა ქარია—იტყვის და გაქრება.

საქმეს კი სულ სხვა მსვლელობა ეძლევა, მის დაპირებებს ხშირათ უნახავს ჩაილულის წყალი. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით „დროებას" იმაში, თითქო

„ეს ფაქტები უთუოდ შემთხვევაში მოწმობენ, რომ ერობის რეფორმა შორს აღარ არისო".

ცოტა ზევით ეს თვით „დროებისთვის", მხოლოდ „საფიქრებელი იყო", დაიმედებით მას იგი არ ამტკიცებდა. და საკვირველია, ერთი სვეტის სიგრძეზე რამ შეუცვალა ასე გონება, რამ აღუძრა ასეთი იმედები გუჩკოვზე და მთავრობაზე. მარა დავანებოთ ამას თავი.

აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ ერობის 1890 წლის დებულებას აღარავინ იცავს და ჩვენმა საზოგადოების წევრებმა რათ უნდა გამოიჩინონ ასეთი ზედმეტი ერთგულება? არა, ასეთი ერთგულება საქმეს ვერ გააწყობს. ერობას მოხრეებთან ერთათ ბევრი მოწინააღმდეგეც ყავს, მის განხორციელებას ჩვენში ბევრი დაბრკოლებები გადაეღობება და ყველა ამის დასაძლევათ და რეფორმის მოსაახლოვებლათ საზოგადოებამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რაც მის ხელშია, არავითარი საცდელი არ უნდა დააკლოს, რაც კი მის განკარგულებაშია—ამ მხრით პირდაპირი და გადაჭრით გამოთქმა ხალხის საჭიროების, მისი სურვილის, მისი მისწრაფებების—პირველი და უმთავრესი საქმეა. ცხოვრება თხოულობს ერობას და ერობას დემოკრატიულს. თათბირმა, რამდენათაც მასში საზოგადოებრივი ელემენტები იღებენ მონაწილეობას—ამ ცხოვრების ხმა უნდა გამოხატონ და ასე, მკვიდრ საფუძველზე დადგენ. პოლიტიკანობა, მოფერება და სხვა ასეთები აქ მხოლოდ საქმის გამფუჭებელია. ეს უნდა ახსოვდეთ იმ მოღვაწეთ, ვინც ამ თათბირში მოხვდენ.

„დიახ, ადგილობრივ თვითმართველობის საქმის გაუმჯობესება აუცილებელია და დღეს იქნება თუ ხვალ, უნდა გონხორციელდეს. ამიტომ უოუმანი, სიფრთხი-

დე და გ'დ'ჭარბებული ინტორტიუნიზმი ჯდ დ'ზრივ საზოგ'დ'ებ'ს მხრით დანიშნულობა იქნება ქვეყნის წინაშე“.

ოღონდაც, რომ დანაშაულობა იქნება.

რევოლიუცია სპარსეთში

დეპეშები.

(პეტ. დეპეშ. სააგენტოსაგან)

17—18 **ივლისი.**

თავრიზი. რადგან შახსევანებმა და ფიდაებმა ძარცვა და გლეჯა დაიწყეს თავრიზსა, არდებილში, და ურმიასა, სალმასტს და ხოის შუა ქარვანების მიმოსვლა შესწყდა. არდებილში რუსეთის აუარებელი საქონელი აწყვია თავრიზში გასაგზავნი.

თეირანი. შაჰის რეგალიები რუსეთის მისიიდან თეირანში გადაიტანეს.

(გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ)

რეაქციონერების გასამართლება. თეირანში სრული სიწყნარეა. მესამე დღეა ასამართლებენ მუზაფერ მულიკს და სხვებს და საპყრობილეში აგზავნიან. მოლების დახოცვის გარდა მათ ბრალდებათ, რომ შეადგინეს ხულიგანთა ბრბო, ძარცვავდენ ხალხს, კლავდენ ბავშვებს და ნამუსს ხდიდენ ქალებს. როცა ფიდაებს და კაზაკთა ბარიგადას შორის ზავი ჩამოვარდა მუზაფერ—მულკმა მოინდომა თავისი ბრბო სომხებისთვის მიესია. ხმა გაავრცელა თითქო სომხებმა შეურაცხყვეს ერთი მეჩეთი. სცემეს რამდენიმე სომეხს. მუზაფერმა აუხსნა სასამართლოს, რომ ყველა „პაგრომებს“ შაჰის ბრძანებით აწყობდა, რასაც საბუთებით დაამტკიცებს.

საომხედრო მინისტრის ამხანაგი. სამხედრო მინისტრის ამხანაგათ დანიშნეს ერთი გამბედავი ფიდაი მუშიზეო სულთანი.

მაჰომედ ალი არ სცხრება! თეირანის პოლიციის შეფს ეფრემას ხამადანში წასვლის დროს შეუკრეფიათ აუარებელი საბუთები, რომ ყოფილი შაჰი რაღაცას აპირებს.

ეხლა გამოირკვა, რომ შვილის ტახტზე ასვლის შემდეგაც მაჰომედ ალი განაგრძობს „ჭეშმარიტ სპარსელებთან“ თავის ბნელ საქმეებს.

ერთი წერილით, რომელიც ახალი პოლიციის აგენტებს ჩაუგდიათ ხელში მაჰომედ ალი ატყობინებს შეიხ აბდულას, რომ მან გადასწყვიტა ერთ წელიწადს მაინც არ გავიდეს სპარსეთიდან.

„მე მატყობინებენ—სწერს ყოფილი მბრძანებელი—რომ ჩემმა მეგობრებმა არ დაივიწყეს ჩემი ღვაწლი და იმედი მომეცა, რომ გვირგვინი ისევ იმ თავზე იქნება, რომელზედაც თვით ალლახმა დაადგა“.

სხვა წერილებში აღნიშნულია თუ სად მიიღებენ ფულებს რეაქციონერი აგიტატორები, რომ პროპაგანდა გასწიონ ბნელ მასაში და უმეტესათ მეომარ მთიულებში.

ერთ წერილში ასეთი ფრაზაა!

„ჩემმა ერთგულმა მონა და მეგობარმა ბაღათურ—ჯენგმა, მირჩია ვისარგებლო ევროპიელების დახმარებით და რამდენიმე წერილი უკვე გავგზავნე ველი პასუხს“.

არეულობა ესპანიაში

ბრძოლა ბარიკადებზე. მადრიდიდან ბერლინში ატყობინებენ, რომ პროვინცია კატალონია აჯანყების ალშია გახვეული. ბარსელონაში ბარიკადებზე ნამდვილი ომია გამართული. წმ. ანტონის მონასტერზე იერიში მიიტანეს და აიღეს. ხიდეები აფეთქეს. ტელეფონის და ტელეგრაფის მავთულები დაგლიჯეს. ქალაქი სიბნელეშია გახვეული. რკინის გზა დანგრეულია. ბარსელონაში სამი პოლკი ჯარი გაიგზავნა. მოელიან სამხედრო დიქტატურის გამოცხადებას.

გარნიზონის აჯანყება. როგორც ისპანიიდან იტყობინებიან ბარსელონაში, ვალენსიაში და პამპელუნში გარნიზონი აჯანყებულა.

საერთო გაფიცვა. ბარსელონის, კატალონის და ტოლედას რევოლიუციის ცეცხლი თან და თან ეკიდება. სახელმწიფო დაწესებულებას და მონასტრებს სწვავენ. ჯარს და მცხოვრებთ შორის საშინელი სისხლის ღვრა. მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. მაღაზიები, ფაბრიკა-ზავოდები, ბანკები და სხვა დაიკეტა შვიდი გაზეთი დახურეს. მცხოვრებთა მოთხოვნაა პარლამენტის დაუყოვნებლათ მოწვევა და ომის შეწყვეტა.

დ ე პ ე შ ე ბ ი

(პეტ. დეპეშათა სააგენტოსაგან.)

17—18 **ივლისი.**

სერდერი. მოსულ ცნობებით ბარსელონაში დაუწვავთ სამი მონასტერი და რამდენიმე სახლი. არტელერია განაგრძობს ბარიკადებზე სროლას. მოკლულთა რიცხვი მრავალია. მარტო ბარიკადზე 30 მოკლულა. დღით პორტმუდან ბარსელონაში მიმავალი მატარებელი სადგურ ლანსზე გაჩერდა, რადგან ხიდი დინამიტით აფეთქებული აღმოჩნდა.

სერბერი. დღეს აქედან ესპანიაში არც ერთი მატარებელი არ წასულა.

მადრიდი. გაზეთ “იმპერიალ“-ს ატყობინებენ, რომ ბძროლაში მონაწილეობას იღებს კრებისერი „ნუმარსია“, რომელიც ყუმბარებს ესვრის ყურუგუს სიმაღლიდან იქ, სადაც მტრის ძლიერი რაზმები არის გამაგრებული.

ოფიციალურ ცნობებით ბარსელონაში მდგომარეობა უკეთესია. კავალერიამ აჯანყებულებს ქალაქის განაპირა ადგილებიდან შუაგულისაკენ დაახევია, რის შემდეგაც არტილერიამ სროლა აუტეხა და ძლიან დააზარალა. ცოცხლათ გადარჩენილები დანებდენ და იარაღი ჩააბარეს. ეხლა ქალაქის მიდამოებში მხოლოდ რამდენიმე ჯგუფი დარჩა აჯანყებული.

მელილია. მდგომარეობა არ შეცვლილა. გენერალმა მარინამ 16 ივლისს ნახა ჯარის ბანაკი. მავრები მშვიდათ არიან. გემით მოვიდა მელილიის ახალი გუბერნატორი და ჯარი.

მელილია. ოფიციალური ცნობით 14 ივლისს კაბილებმა დაჰკარგეს 100 კაცი, რამდენიმე ასი დაუჭრეს. ხმები გავრცელდა, კაბილები დაიშალენ და თავიანთ სახლებში წავიდენო.

ალხურემასის კომენდანტი იტყობინება, რომ არტილერიამ ისევ სროლა ასტეხა, რადგან აკდირის ტომის ბელადებმა ბოდში არ მოიხადეს შეურაცხყოფისათვის.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17—18 **ივლისი.**

რ უ ს ე თ ი

ვორენეჟი. სადგურ ლისკოზე, პირველი კლასის ვაგონში დაიჭირეს ყაჩაღთა ბრბოს მეთაურები, რომლებმაც სხვათა შორის გაძარცვეს რაევსკის ქალის სახლი. დაჭერილებს აღმოაჩნდა სამი ბრაუნინგი და 135 პატრონა.

ლიბავა. ტრანსპორტ „ანგარზე“ მატროსმა სპიჩკას მოუკიდა. აფეთქდა ბენზინი, მატროსი მძიმეთ დაიჭრა და მოკვდა. მსუბუქათ დაიჭრა სამი მატროსი.

პეტერბუგი. ხოლერით ავათ გახდა 52, მოკვდა 15.

სოკოლოკა. გროდნოს ქუჩაზე დაიჭირეს 12 კაცისაგან შემდგარი ყაჩაღთა ბრბო, რომელმაც ქსენძი გაძარცვა. ფულები ვერ აღმოაჩინეს.

პლოკკი. ხოლერით ავათ გახდა 40, მოკვდა 15. 15 ივლისს ავათ გახდა 30, მოკვდა 8. 16 ივლის ავათ გახდა 33, მოკვდა 10.

რიბინსკი. დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 4, მოკვდა 6.

არხანგელსკი. ხოლერით ავათ გახდა 9, მოკვდა 4. მაზრაში ავათ გახდა 3, მოკვდა 1.

საზღვარ-გარეთ

პარიჟი. გავასის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ მაღიაგიდან: კერძო ცნობებით 15 ივლისს მელილაში ესპანელებს მოუკლეს 20 ოფიცერი და 200 ლდათი. დაუჭრეს 800.

ლეიპციგი. აქაურ უნივერსიტეტის ხუთასი წლის არსებობის გამო მოხდა დიდებული აქტი. საქსონიის მეფემ უნივერსიტეტს თავის მარმალილოს ქანდაკება აჩუქა. საიუბილეო სიტყვა ფილოსოფ პროფესორმა ვინდტმა წარმოსთქვა. უნივერსიტეტმა დაადგინა დოქტორის წოდება მიანიჭოს საქსონიის მეფეს, ჰსენის დიდ ჰერცოგს, რუზველტს და გრაფ ცეპელინს.

უკანასკნელი ფოსტა

ოსმალეთი

ოსმალეთის დეპუტატებმა უარი სთქვეს ბერლინში მისვლაზე. დიდი სენსაცია გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პარიჟიდან მომავალმა ოსმალეთის დეპუტატებმა უარი სთქვეს ბერლინში წასვლაზე.

ჩხრეკა მაკედონიაში. მაკედონიის ქალაქებში ბერძნებს ჩხრეკენ და იარაღსართმევენ.

ინციდენტი დღესა სწაულზე. კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ იქ დიდი ლაპარაკი გამოიწვია კონსტიტუციის დღესასწაულზე მომხდარმა ინციდენტმა.

დღესასწაულის დროს აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი, ყველა წინ მიიწევდა, რომ დაენახა სულთანი. პოლიციის უფროსმა, დაინახა რა, რომ დგრიგებით ვერას გახდებოდა, ხმალი ამოიღო და ხალხს უკან დაახევია.

დაინახა თუ არა ეს ინგლისის ელჩმა ხმა მაღლა განაცხადა თავისი უკმაყოფილება ასეთ უწესოებისათვის, რაც დიდი ვეზირის უტაქტობას მიაწერა.

ამის შემდეგ ინგლისის ელჩმა დემონსტრატიულათ დასტოვა ტრიბუნა და წავიდა.

პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ ინგლისის ელჩის ასეთ მოქმედებას რაღაც სხვა სარჩული უდევს. მან იცოდნა შემთხვევით, რომ სახალხოთ გამოცხადებია უკმაყოფილება ხილმი ფაშასთვის.

პატარა ფელეტონი

ო რ ი ხ ვ ა.

ვუძღვნი ნ. ჟ—ს.

პირველი

ბაირაღი დავუშვათ
ეგ ჩვენი სამკაული
და სულ სხვა გზით ალვნიშნოთ
ჩვენი დღესასწაული!..
შერჩეულ დროს აღვნუსხოთ
მტრისა დანაშაული.

მეორე

კვამლი რომ ასდევს ქარხნის საყვირსა—
თითქოს ჩვენს ვარამს, ოფლსა და ჭირსა
ეჩურჩულება ბუნებას ტკბილსა,
სადღესასწაულოთ გამოწყობილსა!
მთას დარი უდგას, ბარს დღე მზიანი,
მხოლოდ ძმის სისხლს ღვრის ადამიანი!..

პირველი

წუთიური ნაბიჯი
მოფიქრებულს ემონოს,
რომ ჩვენ რაზმთა სისუსტე
მტერსა აღარ ეგონოს!..
დარაზმულნი ვისმენდეთ,
თუნდ სიჩუმით მტრისა ხმას,
რომ სხვა დროსთვის პასუხი
უფრო მძლავრათ გაისმას!

მეორე

და ამ ჯოჯოხეთს ბოლო მოეღოს,
სამაგიერო მტერსა მიეგოს,
დე, აღინიშნოს ჩვენი დღეობა!
სიმტკიცე მმართებს მუშებს, მხნეობა...
(შორიდან მუშები გამოჩნდებიან)

პირველი ხმა

ბაირაღი დავუშვათ
ეგ ბრძოლის სამკაული—
და სულ სხვა გზით აღვნიშნოთ
ჩვენი დღესასწაული!..

მუშები:

შერჩეულ დროს აღვნუსხოთ
მტრისა დანაშაული!..

(ერთმანეთში ირევიან. ქარხნის საყვირიდან ჩქარი კვალი ამოდის და ამწვანებულ მიდამოს ეფინება. რამდენიმე წუთის განმავლობაში საშინელი ხმით ყვირის)

მეორე

გულს შემოაწვა შავი ღრუბელი,
ვხედავ კვლავ ცოცხლობს მრისხანე გველი,
კვლავ იკლაკნება, საკბენათ იწევს
და საპასუხოთ, ძმებო, მიგვიწევს...
თან მოვიგონოთ ყველა გმირები
ჩვენ ბაირაღ ქვეშ დახოცილები...

„ეროვნული სოციალიზმი“

პასუხათ ბ. B-ს.

(„დროება“ №№ 134, 135, 137, 139, 141.)

(გაგრძელება).

III

მეორე ძალა, ძალა რეალური—ჩვენი ეროვნების ასაღორძინებლათ „ეროვნულ საზოგადოების“ აღსადგენათ ესაა—თავად-აზნაურობა, ბრწყინვალე წოდება. ჩვენ უკვე გვქონდა მოკლეთ აღნიშნული, თუ როგორი იყო ერი და ეროვნება ფეოდალიზმის ხანაში, ე. ი. თავად-აზნაურთა სრულ ბატონობის დროს. აღვნიშნეთ ისიც, რომ დღეს მათი ძალა შერყეულია, მათი ბურჯობა უარყოფილია და თვითონ კლასი, როგორც ასეთი გადაგვარების გზაზეა დამდგარი. ბ. B-ს ეს, რასაკვირველია, გულსაკლავ მოვლენათ მიაჩნია: „ვთქვათ, რომ მართლაც ერთი კლასის გადაგვარება მოასწავებს უსათუოთ მეორეს აღორძინებას, ჩვენი თავად-აზნაურობის გადაგვარება ამ მხრით მაინც რა სასიხარულო იქნება“? („დრ. № 137). სასიხარულო კი არა, სავალალო იქნებაო განაგრძობს ბ. B. და ეროვნების სახელით, ეროვნულ საზოგადოების აღდგენის გულისთვის თავად-აზნაურობის გამაგრება-გაძლიერებას თხოულობს: „ჩვენ ცხოვრებაში მათა გადაგვარება სწორეთ დიდი დანაკლისია მთელი ქართველი ერისათვის და ნიშანი მთელი ერის (კურსივი ჩვენია) დაქვეითებისა, რადგან სხვა სასიცოცხლო ძალები მაინც არ არის, (კურს. ჩვენია), არც პოლიტიკური, არც ეკონომიური, არც სხვა რამ“.

მაშ ასე, თავად-აზნაურობა, აი ერთათ ერთი ბურჯი ქართველი ერის, მისი აღორძინების და სხვა სასიცოცხლო ძალები კი ჩვენ არ გაგვაჩნია. (აბა, ხალხი: გლეხები ან მუშები რა სათვალავში ჩასაგდებია) ისინი ხომ მიწათმფლობელები არ არიან და ათი ათას დესეტინებს არ ფლობენ?

თავისთავათ იბადება კითხვა, რაში გამოიხატება თავად-აზნაურობის ეროვნული მოღვაწეობა? როგორი მატარებელია ის ეროვნული იდეის დღეს?

მართალია, მან უკვე ყოველგვარი კრედიტი დაკარგა, მართალია, იგი გადაგვარების გზაზეა დამდგარი, მართალია, იგი „ზუბრთა“ სამეფოს წარმოადგენს, მაგრა შეძლება ხომ შერჩენია კიდევ, მამულები ხომ აქვს და ადგან ერს კი უნდა ტერიტორიაო, ასე ფიქრობს ბ. B. და ამიტომ შეღადებს მათ: გვიხსენით ბატონებო, დაიცევით ქართული ტერიტორიაო.

გაზ. „დროებამ“ ამას წინეთ ერთი წუწუნი და ვაება მოართო თავ. მინგრელსკიმ მამულები უცხოელებს მიყიდაო. ეს არ უნდა ჩავიდინოთ, ჩვენ მიწები ქართველებს უნდა მივყიდოთო. მისი ასეთი გულმოსაბუნებელი ქადაგი უსმენია ვიღაც თავად გელოვანს და ლეჩხუმის მიუვალ უდაბნო ტყეებს, საიდანაც მას „გროში კაპეიკი ვერ უხარგებლია“, 50 მანეთათ სთავაზობს დესეტინას ქართველ გლეხებს, რასაკვირველია, ეროვნების სახელით, საქართველოს ასაყვავებლათ და ისიც გაზეთის ფურცლებზე. თვით „დროება“ იმდენათ დაუბრმავებია თავის „ტერიტორიის“ შერჩენის თეორიას, რომ ამ აშკარა ცბიერობას ვერ ხედავს, მიუხედავათ იმისა, რომ თვითონ თავადი გულახდილათ უმატებს, მე კუჭი მამოქმედებსო. ასე, ბ. გელოვანი თავის კუჭს აბატონებს ერზე, „დროებას“ კი გონია, რომ მას მსხვერპლი მიაქვს ეროვნების ტრაპეზის წინაშე. საკვირველ არიან უფალო საქმენნი შენნი, მაგრა უფრო საკვირველ არიან გულუბრყვილობა ფედერალისტებისა და ოინები ჩვენი ქვეყნის რეაქციონერთა; ისინი ასე სარგებლობენ ჩვენი ს. ფედერალისტების B.-სებური ყალბი თეორიებით და თავის მყვლეფელობა ეროვნულ მოღვაწეობათ გამოაქვთ, მაგრა ისიც მხედველობაში მისაღებია, რომ თვითეს თეორია, თვით ამ მოღლილ ინტელიგენციის გულშემატკივრობის ხასიათი—ეს გლეხების და მუშების დარწმუნებაა იმაში, რომ ისინი უნდა მსხვერპლათ დაედვან მათ ოცნებას საქართველოს მომავალზე, ქართველ ბურჟუაზიაზე, რომელიც მათი აზრით, ან აღორძინდება ან არა, ან გვაცხონებს, ან არა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უნდა მეოთხე ტყავი გავიძროთ და მათი ბრწყინვალება ბ-ნი თავადები, გავალაღოთ, მერე აშენდება ქვეყანა, თუ დაინგრევა—ცდა ხომ მაინც დაკლებული არ გვექნება და თავი გაუტყავებული.

კარგი ნუგეშია!

ასე შეეძლო ენუგეშებია თავი იმ კრილოვის დათვსაც, რომელიც ტყეში ხეებს ამსხვრევდა, ეგების „ხამუტათ“ მოვლუნოვო, ან იმ მაიმუნს, რომელიც სათაღლეებს ხან კუდზე იდებდა, ხან კეფაზე, მაგრა თვალებზე აფარება კი ვერ მოახერხა. ცდა ხომ მასაც არ დაუკლია! სათვალეებიც კი დაამტვრია, როცა ვერაფერი გააწყო. გაპესიმისტდა, ადამიანზე გული აიცრუა, მატყუარები არიანო.

ასე ემართება „დროების“ პუბლიცისტებსაც. ნამდვილ ძალას გვერდს უვლიან და ერის დამპალი ნაწილების გასამრთელებლათ, მისი ხორცმეტების გასასაღებლათ მოგვიწოდებენ. კარგი ექიმი კი მაშ მხოლოდ ამპუტაციას გადაუწყვეტდა და ასე, მათი თვითდან მოშორებით ერის ორგანიზმს გაამრთელებდა. რუსეთის მთელი დიადი მოძრაობა ამ ოპერაციისკენ იყო მიმართული და ახლა ბ. B. გვარწმუნებს, რომ ხალხი ტყვილა დამაშვრალა, ტყვილა უღვრია სისხლი, „რადგან თავად-აზნაურობის გადაგვარება ჩვენი ერისთვის დიდი დანაკლისია“. მას თურმე მის გამდიდრება გაძლიერებაზე უნდა ეზრუნა. ასეთია ამ ყოფილ რევოლიუციონერის ახალი აზროვნება. ასეთია „დროების“ ახალი ფილოსოფია.

იქნება მკითხველს გონია, რომ ბ. B. იმიტომ გვირჩევს ამას, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა საღი და გამოსადეგი გონია! სრულიადაც არა! მან კარგათ იცის, რომ ჩვენი თავადები „ზუბრებია“, იცის, რომ ისინი გადაგვარების გზაზე ადგანან და არც მალავს ამას, მაგრა მაინც გვაწვდის ამ დამპალ საქონელს და თან მადლობასაც გვთხოვს, აბა ყური დაუგდეთ: „იმაზედაც დიდი მადლობა ვთქვათ, რომ ყველა მათგანი საზოგადო საქმეშიაც „ზუბრი“ არ არის“; რა დიდი ბედნიერებაა, რომ მათში რამდენიმე პირი ყოფილა არა „ზუბრი“. მოდი და ამის შემდეგ თაყვანი ნუ სცემ ამ აზნაურებით მოვაჭრეს! უვარგისს საქონელს გაწვდი, მაგრა მთელი დამპალი ხომ არაა. ვის იგდებს მასხარათ, თავის თავს თუ ხალხს? ეს მკითხველმა გამოიცნოს, მე კი აღვნიშნავ, რომ ის ამის შემდეგ ისევ ირწმუნება, „ერთი რომ, სხვა კლასები უფრო გადაგვარებულია და მაშასადამე, თავად-აზნაურობაც დიდი „პლიუსია“, „და აკი პლიუსობს“ ჩვენი თავად-აზნაურობა რაც შეუძლია და რამდენი საზოგადო—ეროვნული შეგნებაც აქვს“?

მერე სადაა ეს ეროვნული შეგნება? რაში გმოიხატება ის? იქნება იმაში, რომ ბატონყმობის გათიშვის დროს—ისინი ბიუროკრატიაზე უფრო მეტ რეაქციონერობას იჩენდენ და გლეხების უმიწოთ განთავისუფლებას თხოულობდენ! იქნება იმაში, რომ ალექსანდრე II ჩამოსვლის დროს კავკასიაში ერობის მოთხოვნა უარყვეს, ამით გადასახადი დააკლდება ჩვენს მამულებს, და სამაგიეროთ, ნედოიმკებიც პატივებას შეევედრენ; ან იქნება იმაში, რომ დროებით ვალდებული გლეხობასა და ხიზნების შესახებ კანონმდებლობის გაუარესებაზე დიდი ზრუნვა მიიღეს და ისინი მე-20 საუკუნეში ყმებათ დაარჩინეს? ან იქნება იმაში, რომ 100 წლის შემოერთების თავზე რუსეთის ბიუროკრატიას ფეხ ქვეშ გაეგენ და ნამდვილი „ლაქიობა“ გამოიჩინეს?

სადაა, სად მათი ეროვნული მოღვაწეობა? მათ შეგნებას ვხედავ, მაგრა ესაა შეგნება თავის წოდებრივ ინტერესების და ამ ინტერესებისთვის მთელი ერის, მისი კულტურულ წინმსვლელობის ფეხ ქვეშ გათელვა. აი რაში გამოიხატება მათი ეროვნული მოღვაწეობა!

მათ ტერიტორია აქვთო, გაიძახის ბ. B. მე კი ვიტყვი, რომ სწორეთ ამიტომ, რომ მათ ხელშია ტერიტორიაა და დღემდეს არ ჩამოერთმევიათ ისინი ასე აწამებენ და სტანჯავენ ჩვენს ერს. ასე რომ, ტერიტორია მათ ხელში ერის დაჩაგვრის იარაღია და არა მისი აღორძინების. ამით უსპობენ განვითარების საშვალებას და უმწარებენ სიცოცხლეს გლეხს ყველა ეს გ. ამილახვარები, გელოვანები და ძმანი მათნი. ბ. B. კი, მაინც მათ დახმარებას თხოულობს, ესე იგი, ერის გადაგვარებას აზნაურების ჯიბის სასარგებლოთ. სათვალეებს ამტვრევს, რატომ კუდზე დადებით თვალი არ მოიმარჩინაო.

„თუ მისი (თ.-აზნაურ.) სიმდიდრე ისევ ქართველი გლეხების, ან ბურჟუაზიის ხელში გადავა, თუ მის ადგილს დაიჭერს სხვა კლასი და გაუძღვება ეროვნულ საქმეს; თუ, ერთი სიტყვით, არიან ჩვენში ისეთი კლასები, რომლებიც იჩენენ დიდ შემოქმედებას და აღორძინებენ ერს, მაშინ ჯანი გავარდეს თავადაზნაურობასა („დრ.“ №141).

კეთილი და პატიოსანი! გაიხსენეთ მხოლოდ წარსული წლის მოძრაობა და მისი ლოზუნგები—მიწების ჩამორთმევა თავადაზნაურობისთვის და გიდაცემა ხალხისთვის, განა ამას არ მოითხოვდა მაშინ ყველა შეგნებული და მოწინავე ნაწილ

(მუშები ქუდებს მოიხდიან. სახეზე მოწიწება გამოეხატებათ)

მწარე ხუნდებში სულდალეული
იქ, იქ მარხია ჩვენი რჩეული!..

(სასაფლაოსკენ უჭვ ნებს. მუშების ხმა მაღლი ლაპარაკი გაისმის. სახე გ ფიორებულნი ცხარედ მსჯელობენ).

შორს გვეგულება ჩვენივ რჩეულნი
შავსა საკნებში გამომწყვდეულნი.

(მუშები ჩრდილოეთისაკენ იყურებიან. ნელ ნელა მიიმალებიან ცხარე ლაპარაკით. რამდენიმე დარჩება.)

პირველი ხმა.

თვით სიცოცხლე შესწირეს
მაშვრალთა და დაჩაგრულთ,
მაგრამ დღე მოუსწრაფეს
განახლების მოციქულთ
განთიადის ტრფიალსა,
ბრწყინვალე დღის მზერასა
ვერ ელირსენ და გაჰყვენ
შავი ბედის წერასა!
ზოგნი დასწვეს სახლებში,
ზოგნი ხანჯლით აკუწეს,
შავ-ბნელ დროის მეფობა
არე-მარეს აუწყეს...

მეორე

ჩვენ მოვიგონოთ ყველა გმირები
ჩვენ ბაირაღს ქვეშ დახოცილები!..
. . . . . .
. . . . . .

დარჩენილი მუშები:

შერჩეულ დროს აღვნუსხოთ
მტრისა დანაშაული,
დღეს კი სხვა გზით აღვნიშნოთ
ჩვენი დღესასწაული!..

(შიმალებიან)

ორი ხმა (შეთანხმებით)

კვამლი რომ ასდევს ქარხნის საყვირსა,
თითქოს ჩვენს ვარამს, ოფლსა და ჭირსა
ეჩურჩულება ბუნებას ტკბილსა,
სადღესასწაულოთ გიმოწყობილსა!
მთას დარი უდგას, ბარს—დღე მზიანი
მხოლოდ ძმის სისხლს ღვრის ადამიანი!..

(ერთი გზით მიდიან)

იჯამანი.

ხარკოვი. 22 აპრილი.

ახალი ამბები

კამათი ერობის შესახებ. 17 ივლისს, საღამოს 9 საათზე ქალაქის გამგეობის საკრებულო დარბაზში მოხდა სხდომა თფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საკითხის გასარკვევათ ამორჩეულ საკრებულოს 1-ლ სექციის წევრთა. სექციას თავმჯდომარეობდა გ. გვაზავა. გვაზავა შეეკითხა დამსწრეთ, თუ როგორ უნდა დაისვას საკითხი ერობის შესახებ და რა მხრით შეუდგენ საკითხის გარკვევას. თვითონ მისი აზრით საჭიროა ჯერ-ჯერობით გარკვეულ იქნას საკითხი საერობო წვრილ ერთეულების შესახებ. ამის შემდეგ ილაპარაკა რამდენიმე კაცმა. უმეტესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა კამათი აქედან, სახელდობრ, საერობო წვრილი ერთეულებიდან დავიწყოთო. არსებითათ საგანზე პირველათ ილაპარაკა ა. ა. ქალანთარმა. მან აღნიშნა საჭიროება წვრილ საერობო ერთეულებისა, რომლებიც მასსასთან უფრო დაახლოვებულნი არიან. იმის გამორკვევა, თუ რამდენი კომლისაგან იქნება შემდგარი წვრილი საერობო ერთეული, შეუძლებელია. ეს დამოკიდებულია ადგილების გეოგრაფიულ მდებარეობიდან, სამეურნეო პირობებიდან და სხვ. ი. ზურაბიშვილის აზრით სასურველი იქნებოდა, რომ საერობო ერთეულების საქმეებს ერთად, ყრილობით სწყვეტდენ. ა. ხატისოვმა დამსწრეთ გააცნო ერობის შესახებ რუსეთის ყველა გამოჩენილ საერობო მოღვაწის აზრი და თვითონ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა უსათუოდ შემოღებულ იქნას წვრილი საერობო ერთეულებიო, რომელსაც უნდა დაერქვას „სასოფლო დუმა“ (Волостная дума) ნორმას, თუ რამდენი კაცი შევა ამ ერთეულში, საგუბერნიო და სამაზრო ერობა გადასწყვეტსო. ნაფიცი ვექილი ხუნწუნცის აზრით, სასურველია, რომ წვრილი საერობო ერთეულებს სამეურნეო ორგანიზაციების ხასიათი ჰქონდეთო. სხვა ორატორებმაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ ნორმის გამორკვევა წინადწინვე შეუძლებელია, ამისთვის საჭიროა ადგილობრივ პირობათა გაცნობაო. ამ მიზნით ამორჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც შევიდენ: მიხ. მაჩაბელი, ა. ქალანთარი, თაყ. ი-აფხაზი, საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბროძელი, ბინდ. ტიმოფეევი. წვრილ საერობო ერთეულების შესახებ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „საერობო წვრილ ერთეულთა ტერიტორია არ უნდა შეუთანხმდეს მაინცადამაინც ეხლანდელ ადმინისტრატიულ საზღვრებს მაზრისას, არამედ უნდა გამოდიოდეს ეკონომიურ პირობათა ერთიანობისა და ქონების პატრონთა ინტერესების ერთიანობისაგან“. ამის შემდეგ გადავიდენ სამაზრო ერობის საკითხზე. კამათი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ გადაწყვეტილი არაფერი არ გამოუტანიათ. შემდეგი კრება პირველი სექციისა მოხდება იმავ დარბაზში 23 ივლისს, საღამოს 9 საათზე. კრებას დაესწრენ ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელნი და სხვა.

„ჩანგი“-ს რედაქციისაგან

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ლ. დადიშკელიანისა და ცხომელიძის სასელზე ფულს ნუ გზავნიან, რადგან ამ ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

ვისაც შეცდომით ძველი ადრესით აქვს ფული გამოგზავნილი—ვთხოვთ შესცვალონ ადრესი. ფულის მიღება რედაქციას შეუძლია მხოლოთ შემდეგი ადრესით:

Тифлисъ, типографія „Сорапань“,
Калистрату Константиновичу Цуладзе.

რედაქცია იმ ფულს ვერ მიიღებს, რომელიც ამ ადრესით არ იქნება გამოგზავნილი.

✦ **გაუგებრობის ასაცდენათ.** გუშინდელ ჩვენს გაზეთში აღნიშნულია ზოგიერთი ფაქტები დავრიშევის მოქმედებიდან რევოლიუციის დროს და სხვათა შორის სწერია: სწორეთ ისე ხელიდან ხელში დაატარებდენ ამ ვაჟბატონს საქართველოს პირისუფლები როგორც ეხლა დაატარებენ „ქართველ ფილოსოფოსს“ ბ. რობაქიძეს. რადგან ამ შენიშვნამ შეიძლება ზოგიერთებს ეჭვი აღუძრას, ჩვენ მოვალეთ ვთვლით თავს განვაცხადოთ, რომ ამით ჩვენ აზრათა არ გვქონია ბ. რობაქიძეზე რაიმე ეჭვი მიგვეტანა რადგან ჩვენ ვიცით, რომ მისი პოლიტიკური პატიოსნება ყოველ ეჭვს გარეშეა, და ამასთანავე, იგი არავითარ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნის.

✦ **მუშაობის დასრულება.** კიროჩნი ქუჩაზე წყლის საყვანი მილი უკვე შეაკეთეს და ტრამვაის ნორმალური მიმოსვლა უკვე დაიწყო. დაასრულეს აგრეთვე მუშაობა და გუშინ გაუშვეს წყალი სომეხთა სასულიერო სემინარიის ახალ შენობისაკენ. როგორც ვწერდით, რკინის გზის ადმინისტრაციის ნებართვით წყლისაყვანი მილი რკინის გზის ლიანდაგ ქვეშ იქნა გაყვანილი. თუ საზოგადოთ ქალაქის წყლის ნაკლულევანებამ არ შეუშალა ხელი, სემინარის შენობისთვის ორშაბათიდან შეიძლება წყლით სარგებლობა.

✦ **ერობის მე-2 სექციის კრება.** მე-2 სექციის კრება ბ-ნ ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით მოხდება 22 ივლისს, საღამოს 8 საათზე.

✦ **ქალაქის თავი ვ. ნ. ჩერქეზიშვილის ავათმყოფობის გამო** გუშინ ა. ხატისოვმა შემდეგი დეპეშა მიიღო პარიზიდან: „მეორე ოპერაცია შეუძლებელია. წყლულების მორჩენა მხოლოთ მუდმივი გამობანვით შეიძლება. მოულოდნელ შემთხვევათა ასაცდენათ გვირჩევენ თფილისში წამოსვლას. როგორც ცოტათი გამომჯობინდება, მაშინათვე წამოვალთ“.

✦ **მადლობა.** პოლიციმეისტერმა მადლობა გამოუცხადა მაძებარი პოლიციის უფროსს რაკოგონს და უბნის ზედამხედველ ბუტს დამნაშავეთა აღმოსაჩენათ ენერგიულ მუშაობისთვის.

✦ **უსაქმოთ დარჩენილი.** „შრომის ბირჟაში“ პირველიდან 16 ივლისამდე 168 კაცი ჩაეწერა. ამათში რუსი 103 კაცი, ქართველი 23, სომეხი 22, პოლონელი 8, ოსი 5. თფილისიდან სულ 37 უმუშევარი ჩაწერილა, ქუთასის გუბერნიიდან 11. ამ საერთო რიცხვში 110 წერა-კითხვის მცოდნეა, ხოლო 58 უსწავლელი. ამ დროს განმავლობაში მხოლოდ 85 კაცი მოითხოვეს მოსამსახურეებათ.

✦ **ნეხვი ბორშჩში.** შაბათს, 18 ივლის, „ოსტროვის“ ტრაქტირში, რომელიც მადათოვის კუნძულზე მდებარეობს, „სოროკინის“ სტამბის მუშებმა, სადილობის დროს ბორშჩში აღმოაჩინეს კარგა მოზრდილი ნეხვი. ამის შესახებ პოლიციას მიმართეს, მაგრამ მან ოქმი არ შეადგინა და მიუთითა სასანიტარო მზრუნველზე. პოლიციდან ნეხვი წაიღეს სასანიტარო მზრუნველის ბ-ნ ტერ გრიჭუროვის ბინაზე, რომელსაც სახოვეს ოქმის შედგენა. საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცეს სასადილოებში საჭმლის მომზადებას და დამნაშავენიც ღირსეულათ დასჯილ იქნან, თორემ მეტრაქტირეთა თავგასულობას ბოლო არ მოეღება.

✦ **ქალაქის ინჟენერი.** თფ. ქალაქის ინჟენერი კოგნოვიცკი, მიუხედავათ იმისა, რომ დასვენების ვადა გაუტარდა, თფილისში ჯერ არ დაბრუნებულა, რის შესახებ გუშინ მის მშობლებს შეეკითხენ.

✦ **„ელექტრიკის“ თეატრში.** ამ თეატრში წარმოდგენები ისე ძვირათ იმართება, ფასები დაკლებულია. დღეს უკანასკნელათ დაესწრეთ ჩვენებენ ქართულიკოს იზმირლიანის ჩამოსვლას, სომეხთა სემინარიის საძირკვლის ჩადებას და პოლტავის დღესასწაულებს, რომელსაც ხელმწიფე დაესწრო.

ინგლისის დეპუტატები

ამ დღეებში სათემო პალატაში მოხდა კონფლიქტი, რომლითაც აშკარათ გამოჩნდა ის, რასაც ინგლისელები სიამაყით ეძახიან თავიანთ საკანონმდებლო დაწესებულებას „პარლამენტარიზმს“.

ღამის სხდომის დროს, როცა ერთ კონსერვატორი ორატორის სიტყვებზე, აქეთ იქიდან ისმოდა დაცინვა, მეორე კონსერვატორმა, ლორდ ვინტერტონმა თავხედური შენიშვნა მისცა მუშათა დეპუტატ ვილიამ ტორნის.

კონსერვატორი ლორდი გაბრაზებული იყო, მას მოეჩვენა, თითქო ის ყველაზე მეტათ ცდილობდა გაეწყვეტინებია სიტყვა ორატორისთვის. ლორდმა შენიშნა, რომ ის მთვრალი იყო. ამ დროს მოხდა რაღაც მოულოდნელი ამბავი.

მთელმა პალატამ იფეთქა. პატივცემულ ლორდს დაუწყეს აქეთ იქიდან ყვირილი „წაიღეთ სიტყვა უკან! ბოდიში მოიხადეთ“!

შემდეგ იგივე მოსთხოვა ლორდს თავმჯდომარემ. მან შეასრულა თავმჯდომარის მოთხოვნა, მაგრამ ისე, რომ ისევ გაიმეორა თავისი სიტყვები.

„თუმცა მე ისევ იმ აზრის ვარ პატივცემულ დეპუტატის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარის პატივისცემისთვის გთხოვთ და სხ.

ამან ვერ დააკმაყოფილა შეურაცხყოფილი, ეს წამოდგა და ხმა მაღლა პატივცემულ ლორდს მატყუარა უწოდა.

თავმჯდომარემ მოსთხოვა მას ასეთი არა პარლამენტარული სიტყვის უკან წაღება და როცა მან ამაზე უარი სთქვა, კრებიდან გააძევა.

მუშათა დეპუტატის დასაცველათ ჯერ მუშათა პარტია წამოდგა, შემდეგ მთელი პალატა და მთავრობა.

მუშათა პარტიამ მოთხოვა ტორნის გაძევების შესახებ თავმჯდომარის დადგენილება ამოეფხიკათ ოქმიდან. ეს განაჩენის კასაციას უდრის.

საზოგადოებისა, განა ამას არ თხოულობდა გლეხები და მუშები? განა ამისთვის არ ეწეოდენ ისინი“ გოლიათურ ბრძოლას?

ბ. B-იც იმ ხანებში ასეთი აზრის იყო და ყველაზე მეტს ყვიროდა ამას, მარა დროები—იცვალნენ და მანაც ფერი იცვალა.

მაშინ სასიცოცხლო ძალა მისთვისაც ხალხი იყო, ახლა კი თავად-აზნაურობაა, „სხვა სასიცოცხლო ძალები მაინც არ არისო“ გვაუწყებს ეს გუშინდელი ხალხის სახელით მოღაღადე და დღეს ბატონების მაძიებელი. თუ გუშინ ვარგოდა, დღეს რა დაემართა ამ ხალხს? ნუ თუ ის შეიცვალა? არა, ის არ შეცვლილა, მარა თქვენ კი დაკარგეთ გზა და გზადაბნეული დაეხეტებით თფილი ნავთსადგურის საძებრათ, ახალ ბატონის მოსაპოვებლათ. ასეთია მოქანცული და იმედ დაკარგული ინტელიგენციის ბედი. მისი წვრილ ბურჟუაზიულ სული ქედს იხრის იმათ წინაშე, ვისაც ძალას ამჩნევს. ამით აიხსნება, რომ იგი გუშინ გლეხებს და მუშებს ადიდებდა, დღეს კი თავადაზნაურობას, გუშინ რევოლიუციას, დღეს კი რეაქციას და მის სულის ჩამდგმელთ. იტრიალეთ ბატონებო, იტრიალეთ წადმა უკუღმა. ხალხი კარგათ დაინახავს თქვენს ქმედებას.

თ.-აზნაურების ქონება რომ გლეხის ხელში მაინც გადავიდოდესო, ბრძანებს თითქო მათი გულის მოსაბრუნებლათ ბ. B. რომ ბევრგან ვერ გადადის, ეს ცხადია, მარა იციან, ვინ უშლის ხელს ამ გადასვლას? თქვენ აქ ალბათ გლეხები მიგაჩნიან დამნაშავეთ. მათ აბა რა გაეგება თქვენი ეროვნულ ტერიტორიალური იდეების. ნიმდვილათ კი, დამნაშავე თქვენი მოწონებული თავად-აზნაურები—ეს თქვენი „ერის სასიცოცხლო ძალები“ არიან. მათი უზომო ყვლეფა და ხალხის სულის ამოძრობაა მთავარი მიზეზი იმის, რომ ჩვენი გლეხი მიწის შეძენას ვეღარ ახერხებს. მათი წყალობით ჩვენში დღეს კიდევ დარჩენილა ბარბაროსული ინსტიქტი დროებით ვალდებულ გლეხებისა და ხიზნებისა, რაიც ერის უკან დამხევ ძალას წარმოადგენს. ან რაით უნდა შეიძინოს მიწა იმან, ვისაც მისი საფასური ცხრამეტჯერ აართვეს ბრწყინვალე მემამულეებმა და მათზე არ აღიარეს მისი დასაკუთრება? განა ამის შემდეგ იქმის, ჩვენი თ.-აზნ. „ერის სასიცოცხლო ძალაო“?

დიახ, მათი მიზეზია ის, რომ ქართულ მიწა-წყალი უცხო კაპიტალს უვარდება ხელში. იგინია მიზეზი ჩვენი ტერიტორიის დაკარგვის და რამდენათაც ეს ბ. B. ეროვნულ უბედურებათ მიაჩნია, იმდენათ იგი აზნაურებს უნდა ებძოდეს, მარა სადაა ლოღიკა? იგი წამებულია ბ. B. ხელში. იგი ამიტომ ხალხსა და ს. დ. ებრძვის, ერის ღალატს მათ სწამებს და „ერის სასიკვდილე ძალებს“ კი ელაბუნება.

ჩვენ კი ამის წინაღმდეგ სამართლიანათ მიგვაჩნია ხალხის მოთხოვნილება მიწის საკითხის შესახებ. ამით იჭრება, როგორც სოციალური ისე ეროვნული საკითხი. ერს ხორცმეტი შორდება და მას მიწა-წყალი უბრუნდება. როგორც ხედავთ, აქაც ს. დ. მოთხოვნილების დაკმაყოფილებით, აი ნამდვილი სამსახური ერის ინტერესების. როგორც ხედავთ, აქაც ხალხი, დემოსი აძლევს ეროვნულ არსებობას მტკიცე საფუძველს აქაც მისი მისწრაფებაა ნამდვილი დამცველი ეროვნულ თვით-არსებობის, ასე შიგნით.

ასეა გარეშე ძალებთან ბძოლაშიაც

იმაზე ლაპარაკიც მეტია, რომ აზნაურების, ამ ჩვენი ერის „შეგნებულ ნაწილს“, არაფერი არ გაუკეთებია არც გარეშე ძალთა გადამგვარებელ პოლიტიკის წინაღმდეგ. პირიქით, იგი თვით გაიტაცა ჩინ-ორდენებმა და ასე გადაყვა თავის ბატონს. ბსჩყვიალა მუნდირზე გასცვალა სამშობლო, რომელიც მას მხოლოდ მაშინღა ახსოვს როცა წითელი ნუნუათი ჩაისველებს ყელს.

ამნაირათ, იგინი შეძლებისდაგვარათ მოღვაწეობენ არა ერის სასარგებლოთ არამედ მის წინაღმდეგ. სწორეთ ისეთი სასიცოცხლო ძალები არიან, როგორც ბ. B-ს გზადაბნეულობას შეეფერება.

ჩვენ ხალხს მრავალი საჯარავი აქვს, მრავალი სოციალური და პოლიტიკური რეფორმები სჭირაა, რომელიც მის არსებობის და ასე, ერის სიძლიერის საფუძველია. ბ. B. კი ყველა ამას მისაღწევათ, ერთ უებარ საშვალებას გვიჩვენებს... ესაა ეკლესიის რეფორმა... იმედ დაკარგულს სასოება უნდა, გატეხილ გულს ლოცვა, ლოცვის ორგანიზაცია და აი ბ. B. მიდის ეკლესიის კარებზე და გვიძახის „ერს რომ სარწმუნოების დაწესებულებათა ორგანიზაცია არ ექნება, ყოველად უბედურია ის ერი, თუ მის ნაცვლად სხვა რამე არ შეუქმნია“ (დრ. № 141) სხვა რამეზე ბ. B. კრინტს არ სძრავს, ეკლესიაზე კი ქადაგივით დავარდნილია: „ჩვენი „თავისუფალი მოაზრენი“ ეკლესიას ებრძვიან, კლერიკალიზმს გაურბიან, თითქო საფრანგეთში ვიყოთ, რომ კლერიკალიზმის აჩრდილი აშინებდეს პროლეტარიატს, და არა ისეთ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატსაც და ბურჟუაზიასაც ტყავის დაცვა სჭირია უპირველეს ყოვლისა“ (დრ. № 141) და აი, ტყავის დასაცველათ ბ. B. ურჩევს მათ „ფიქტიურ უფლებასაც მოეპიდონ“, თუ სხვა ვერ იშოვნიან. ხოლო კითალიკოსობა ხომ მთელი განძია. ტყავს მაშინ რალა უშავს, თუ საკუთარი კათალიკოსი გვყოლია, სომხის ხალხი თურმე უკვე ბედნიერი გამხდარა კათალიკოსის ყოლით და აყვავებულა. არა გჯერათ? აი წაიკითხეთ თქვენი ბედნიერი თვალებით: „ფაქტიურ უფლებასაც კი უნდა მოეპიდო თავის დასაცველათ არა თუ ასეთ მნიშვნელოვან ეროვნულ უფლებას, რომელიც არის კათოლიკოსობა“. (კურსივი ჩვენია. დრ. № 141) ასეთ სისულელეს, რასაკვირველია, საფრანგეთში არავინ ჩაიდენს, იქ რიგიანი დემოკრატიც კი ებრძვის კლერიკალიზმს და ეკლესიას აშორებს სახელმწიფოსაგან, სარწმუნოების საქმეს—პოლიტიკისაგან, და ასე, ათავისუფლებს ერს მის რეაქციონურ გავლენისაგან. მხოლოდ ბიუროკრატია და რეაქციონერები თხოულობენ ეკლესიის პოლიტიკურ იარაღათ გამოყენებას. ბ. B-ს პირველთა გზას სტოვებს და ერთიანათ ბიუროკრატიის პოზიციაზე დგება, რეაქციის დაღმართში ეშვება, მასაც ეკლესია პოლიტიკურ იარაღათ უნდა, მარა, რასაკვირველია, ქართველი ბურჟუაზიის და თავ.-აზნაურობის ინტერესების მიხედვით. იგი ებრძვის რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას და სამაგიეროთ, შემოაქვს ქართული საეკლესიო პოლიტიკა, ე. ი. ეროვნების სახელით ბიუროკრატობს.

რად გვინდა რაიმე რეფორმები, საჭიროა მხოლოდ ხატების სამლოცველო ორგანიზაციის შექმნა და ერი ყოველგვარ სენისაგან განიკურნება, ჰირიც მოისპობა, მალიარიაც, შიმშილიც და გადაგვარებაც. ერთი სიტყვით, უბედურების მაგიერათ, ბედნიერება დატრიალდება, მარა წარმოიდგინე, ჩვენ უგნურ „ხალხს მისი (ე. ი. ეკკლესიის) აღარ დასცხელს.“ (დრ. № 141.) და სხვა გასაჭირზე ზრუნავს. მოდი და გული ნუ მოგიკვდება, არა, ერთი მითხარით, რა გვაქვს სატირელი? ხალხს მღვდლები არ სურს და პურზე ზრუნავს, ბ. B-ს კი ქადაგებით ყბები ეღლება, და განა არ მართებს მას გულის გატეხა და სასოწარკვეთილება, რაც ამ მეორეთ მოსვლის ნიშნებს ხედავს? დამშვიდდით ბ. B., დამშვიდდით! ხალხი თქვენ არ გიჯერისთ, მარა აქაც სწორი გზა კი აქვს არჩეული. მან ზურგი შეაქცია ავტოკეფალიის საკითხს სწორეთ იმიტომ, რომ შიგ ასეთი პოლიტიკა იყო ჩასახული—გაბატონებულთა სასარგებლო და მისი საზარალო. მას არ გამოპარვია ის გარემოება, რომ ქართული ეკკლესიის დაჩაგვრას ეროვნულ შევიწროება აქვს სარჩულათ, მან იცის, რომ ამის წინააღმდეგ ევროპის დემოკრატიის და ს.-დ. გამოცდილება სჯობია ყველა ჩვენი ბ. B-ების „დროებების“ რჩევა-დარიგებას. ეკკლესია ეროვნების ბურჯი კი არაა, მის ძველი დამპალი ხიდია. სარწმუნოების ეროვნების იდეოლოგიათ გამოტანა—ეს პირველყოფილ აზროვნებაზე დამყარებაა მასის შეუგნებლობაზე და უვიცობაზე ეროვნების აშენებაა. რაიც ცხადია, გამოიწვევს არა ერის წარმატებას, არამედ უკან დახევას და ჩამოქვეითებას. მაშასადამე, ნიშნავს, არა პროგრესისტობას, არამედ რეაქციონერობას. ამას არ დარდობს ბ. B., მარა ვერ იღებს ხალხი, რომელსაც სურს ცხოვრება და განვითარება. აქედან მისი მოთხოვნილებაა—ეკკლესიის სახელმწიფოსაგან გაშორება და რწმენის თავისუფლების გამოცხადება. ეს კი ნიშნავს ეკკლესიის კერძო დაწესებულებათ გადაქცევას და მაშასადამე, ეროვნულ ჩაგვრა - შევიწროების იარაღობიდანაც განთავისუფლებას. ერი ამით იცილებს გარეშე მჩაგვრელ ერის ძალას (გარუსების პოლიტიკის წარმოებას) და შიგნითაც კლერიკალიზმის ბატონობას.

როგორც ვხედავთ, სოციალ-დემოკრატიის პრინციპი აქაც საუკეთესო დამცველია ეროვნულ თვით-არსებობის, ვინემ სამლოცველოს ორგანიზაციის მაძიებელნი. აქაც დემოკრატიის ინტერესები სრულიად ეთანხმება ერის განვითარების ინტერესებს, ეთანხმება პროგრესს და კულტურას.

რაჟდენიძე.

დასასრული იქნება).

მაგრამ როდის უნდა წამოეყენებინათ ეს წინადადება? ყველა მახლობელი დღე მთავრობის განკარგულებაში იყო. მოირიგი საკითხი იყო კიდევ ბიუჯეტი.

აქ გამოჩნდა პარლამენტის ტრადიციის პატიოსნება, რომელიც ავალებს ყველას წმინდათ შეინახოს პატიოსნება და ღირსება ყველა დეპუტაციას, რომელ პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს.

თვით პრემიერ მინისტრმა მიიღო თავის თავზე შეეტანა განსახილველათ პალატაში მუშათა პარტიის წინადადება და მეორე დღესვე დააყენა ეს კითხვა. კერძო ინტერესმა საზოგადო ხასიათი მიიღო.

პრემიერი გრძნობით ამბობდა „ერთ ჩვენ ამხანაგის“ შეურაცხყოფის შესახებ. სცნობს ის რა თავმჯდომარის დადგენილებას კანონიერათ, ამავე დროს, ის აღიარებს, რომ ლორდ ვინტერტონის პროვოკაცია დიდათ აქარწყლებს მუშათა დეპუტატის დანაშაულობას.

თვით კონსერვატორთა პარტიის ბელადმა ენერგიულათ მხარი დაუჭირა პრემიერს და ქება შეასხა მუშათა პარტიას გონივრულათ მოქცევისთვის.

ლორდი ვინტერტორნი იძულებული იყო ბოდიში მოეხადა სოციალისტის წინაშე. ტორნის გამორიცხვის შესახებ დადგენილება ამოშალეს ოქმიდან.

ასე პატივით ეპყრობიან ინგლისელები ხალხის წარმომადგენელს.

კორესპონდენციები

სად. განჯა. ჩვენ სანოვაგით მომგვრელებს ცოტა ეწყინათ. მაითვის არც ნიხრი არსებობს და არც არაფერი. ეშველაფერს მომატებულ ფასში ყიდიან. თუ გინმემ კბედს და ნიხრზე მიუთითა, სამაგიეროთ დაბძეს კინებას მიიღებენ.

ამნაირი უმოწყალო ექსპლოატაცია აუტანელი შეიქნა და ბოლო რომ მოდებოდეს ვაჭრების თვითნებობას, ჩვენმა მოსახლეობამ კოოპერატიული ხიზნობით მიმართეს, ხიზნობისტურს, რომ მას განკარგულება მოეხდინა ნიხრში ცნობილ ფასებში კაუდელიო სანოვაგე. მაგრამ, სამწუხაროთ აგერ თვეზე მეტი გადის მას შემდეგ და არავითარი ზომა არ არის მიღებული.

არა ნაკლებ სამწუხაროა, რომ აქაური მოსახლეობის (რიცხვით 1000-ზე მეტი იქნება) უურადღებას არ აქცევენ ამნაირ მოგდენას. ზომებს არ დებულობენ, რომ ასეთ უმოწყალო ექსპლოატაციას. დაიარსონ საზოგადო დუქანი კოოპერატიულ ნაირგზე, რაც გარეშე სხვა ქალაქებში და დაბებშია.

— უსახსრობის გამო დაკეტილი ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გამართა ხელის მოწერა, მაგრამ, სამწუხაროთ, ზოგიერთი „განთლებული“ პირები სიხვლოვესაც არ იგარიებენ მოხოვნელს და ცივი უარით ისტუმრებენ: „არა მაქვს, რათ მინდა მე შენი ბიბლიოთეკა, ჩემიც მეუოფნა“ და ამგვე დროს უკანასკნელ კაბეიკს არ ზოგავს არაუ დვინოზე და კარტში წასაგებათ.

განჯელი ბზიკი.

ი მ ე რ ე თ ი

რცხილათი. გვეხები უკიდურეს მდგომარეობაში არიან. ბეგრს სიმინდი კარგა ხანია გამოლია და სიმიდს განიცდის. ამას უმატებს სხვა და სხვა გადასახადები, რისთვისაც გლეხს ჩახსაც კი ართმებენ. ამას წინეთ ადგილობრივ აქაურმა სიმდიდრემა გაანკარგულება მიიღო, რომ დრამის ფული ძალით არ აეკრიფათ და, დრაიბები კი სულ გაუნთავისუფლებიათ, მიუხედავათ ამისა ადგილობრივი მდიდარი თავისას შვრება და უოველ ზომას სმარობს, რომ კაბეიკი არავის შეარჩინოს. ერთს გლეხს იასან გამუზარდა შვიდს მიუტევიდენ სოფლის მოხელეები და სხვა რომ ვერაფერი უნახეს ქოხში, ბარი და თოხი წაართვეს დრამის ფულის ათ შაურში (50 კ.)ბეგრი ეხვეწა გამწარებული გლეხი მდიდარს, დრაიბი გარდა გამათავისუფლეო, ბოლოს ორი დღით ვადაში მუშაობას შეპირდა, მაგრამ ამაოთ. შორე გლეხს დრამის ფულში ჩახა გაძვრეს ტანზე და წაიდეს. ამისათანა მაკლდითები ბეგრია ჩვენში.

ხანდრო.

მუშათა შორის

ბაქო. თებერვლის 25 ს, ბიბლიოთეკაში, შაბაევის წარმოების ერთმა გამგემ დ. ს—მ დაითხოვა, როგორც თვითონ ამბობდა, უზნეობისთვის, თვისი მზარეული ქალი. მიზეზი ასე იყო უოფილა: გამგის მეუტანეს ამბავი მასმა აგენტებმა, რომ მზარეული ქალი შეეყვარებოდა ერთ ახალგაზდა მუშაზე. გაგო თუ არა გამგემ ეს ამბავი, მეასედ დათხოვა მზარეული და თან მიაყოლა შეყვარებული მუშაც. როდესაც მასთან მივიდენ მოსასვენარკვლათ ამოხრჩეული მუშები, რათა არ დაეთხოვნა წარმოებაში მეოთი მუშა, მთხოვნამ გაჯდენა იქონია და ახალგაზდა მუშა დარჩა სამუშაოზე. და ახ აქ, სწორეთ ამავე წარმოებაში, ამ კანთლებულ, ბრწყინვალე ზნეობის მქონე და დამტკვლ გამგეთ მართველთ გამოიგონეს ახალი, საყურადღებო, წარმოების განსაუმჯობესებელი საშუალება: შებეგის წარმოებაში ახლათ მისდევ მუშას, რომ მან თავის მაგიერ უფრო ჯანსაღ მუშა არ მიგზავნოს ქვემოთან, მაჯაზე ასმენ ბეჭედს ხსენებულ ფირმისას და ისე გზავნიან ქვემოთან შესასწორებლათ... შაბაევის წარმოებაში ადმინისტრაცია დღე-მუდამ იმის ცდაში არის, წაართვან მუშებს ძველათ მოგებული პირობები. ყოველ ამგვარ ადმინისტრაციის მოქმედებას, მოწინავე ნაწილი მუშებისა უწინააღმდეგებს და ცდილობს უფრო ცივილიზებული საშუალებით შეინარჩუნოს ძველათ მოგებული უფლებები, ამგვარ მოწინავე მუშების უმეტესობას შეადგენენ რუსები და ქართველები. ეს კარგათ იცის ადმინისტრაციამ და ამიტომ, აქაური ადმინისტრაცია რუსებსა და ქართველებს ადარ ეძლევს სამუშაოს. ქართველებს უსირცხვილოთ უუბნებიან: ქართველებს ადარ ვიღებთ ამიტომ, რომ კაუჭებული და არა სამელო ხალხია. რუსებს, თუმც ბირდებიან თქმას გერ უბედავენ, მაგრამ მიიღებით კი არ იღებენ; ძალიანი იშვიათი შემთხვევა იქნება, რომ ოც თავიანთ სუფთა ადგილზე ერთი რუსი მუშა მიიღონ. თუ მიიღებენ ისეთს, რომელიც გუშინ გამოვარდნილა სოფლიდან და თვისის და მისი მუშა-საქონლის შოვნის გერაფერ გამოსავალს გერ ხედავს.

X

თეატრი და ხელოვნება

ს. გოჩა-ჯიხაიში (ქუთაისის მაზრა). ამ ორი სამი კვირის განმავლობაში ჩვენ სოფელში ორი წარმოდგენა გაიმართა საქველ მოქმედო მიზნით: პირველი სკოლის და მომავალი სამკითხველოს სასარგებლოთ, მეორე კი კერძო პირის სასარგებლოთ, რომელიც უმაღლეს კურსებზე აპირებს წასვლას. ხალხი საზოგადოთ გულგრილათ ეპყრობა თეატრ-წარმოდგენებს, მაგრამ ეს გასაკვირალი არ არის. ათასი გადასახდელებით წელში გაწყვეტილი გლეხკაცობა, ხშირათ პირველ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებელი, წარმოდგენებს რომ ვერ დაესწრას, გასაკვირი არ არის, მაგრამ ის კი გასაკვირია, რომ ჩვენ ბეჩავ სოფელს 5—6 უმაღლეს სასწაულებლის მოსწავლენი ყავდეს და წარმოდგენა“ აქტიურ მონაწილეობის მიღების მაგიერ ზოგიერთები არც წარმოდგენას დაესწრენ, მაშინ, როდესაც სხვა სოფლებიდან ბეკრი იყვენ. მათი საქციელი ნებით თუ უნებლიეთ ავრცელებს ხალხში თეატრზე იმ ცრუ შეხედულებას, რომელსაც ადგილი აქვს სოფლის მცხოვრებლებში.

პირველი წარმოდგენა სკოლა-ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გამართულ იქნა 21 ივნისს და წარმოდგენილ იქნა „ცხოვრება ბრძოლაა“, ხალხი კმაყოფილი დარჩა. მეორეთ დადგმულ იქნა 4 ივლისს ქუთაისის დრამატიულ დასის არტისტების მონაწილებით. „სიძე-სიმამრი“ საუცხოვო იყო ბ. შ დადიანი „ოსტავნოი გენერალის“ როლში, კარგი იყო აგრეთვე ბ. ბოთლიევი. სასურველი იყო წარმოდგენები სხვა ახლო-მახლო სოფლებში გაიმართებოდეს, სადაც ხშირათ „ლატარეია ვეჩრებს“ მართავენ და არცა გონებრივ საზრდოს აწვდიან ხალხს და ჯიბებსაც კი უცალიერებენ.

„ცეტეტრ“.

ე. ნინოშვილის ფონდი

ბ-ნო რედაქტორო! რვა ივლისს გამოვგზავნე ფოსტით ფული, შეგროვილი ბაქოს ციხის ტუსაღთა შორის ე. ნინოშვილის ძეგლის ფონდის სასარგებლოთ. ამასთანავე გიბრძანე ხელს მოწერთა სია და გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში. სულ არის გამოგზავნილი ოცდა ორი მანეთი და ჩვიდმეტი კაპ. *) (22 მ. 17 კაპ.) აქედან ე. ნინოშვილის ფონდს ეკუთვნის 21 მ. 42 კ. დანარჩენი 75 კ. გთხოვთ გაარდაცვეთ იმათ, ვისის ხელმძღვანელობით იქნება ქართულ ენაზედ ბოგდანოვის პოლიტიკური ეკონომია. წიგნი რადესაც დაიბეჭდება, სადაც უნდა გამომიგზავნოს ვაცნობებ ღია წერილით ადრესს. ხელის მომწერთა სია. თითო მანეთი: ილია მჭედლიძე, ნ. მაჭავარიანი, კ. ლორთქიფანიძე, დ. აბაშიძე, ს. დავითაია, ვ. ბეჭურიშვილი, ი. გოგიჩაიშვილი.—ათ-ათი შაური: ვ. მ., გ. მეგრელიშვილი, გ. საყვარელიძე, ზ. ჩხეიძე, პ. ახათიანი, დ. ქონიშვილი, ი. ნადირაძე, ნ. მესხარაშვილი, პ. სარიშვილი, გ. თავართქილაძე, აპალონ ლომაძე, კ. დოგონაძე, ბ. ჯიოშვილი, ანტ. დუდაშვილი, დ. ტეხაშვილი, კაკო, იასონ გამდლიშვილი, დ. გოდერძიანი, გ. გიორგაძე, შ. არუტინოვი, ლ. გიორგობიანი. ნ. სანიკიძე. რ. ჩიგოგიძე 30 კ., ხუთ-ხუთი შაური: ვ. თათიშვილი, ნ. დოლიძე ანდ. ქვანია, ე. ძნელაძე, აგქს. ცენტრაძე, ფ. გოგიტაძე, არტ. ხიფთიანი, პ. ორმოცაძე ალ. ერემოვი, ვ. დვალი.—თითო აბაზი: M., ალ. დავითულიანი, სოლომონ ლევარსაბაშვილი, ივ. ხატიევი, გ. თათარაშვილი. სულ შესდგა 21 მ. 80 კაპ. გამოსაგზავნი მარკის ფული და ქაღალდი დაიხარჯა ოცდა თვრამეტი კაპ. წმიდა და ფული დარჩა ფონდისთვის გარდასაცემათ ოცდა ერთი მან. და ორმოცდა ორი კაპ. 21 მ. 42 კაპ.

ნოე. დ. სანიკიძე.

*) ეს ფული, 22 მ და 17 კ. მიიღო „ჩანგის“ რედაქციამ.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზ. „ჩანგში“ ადგილი მისცეთ შემდეგ წერილს: თფილისის ფურცლის რვა მკათათვის ნომერში წერილი იყო მოთავსებული სადგურ ხაშურიდან ჩემს შესახებ, ვითომც მე სადგურის წინ ხალხის წინაშე მივეცემი ადგილობრივ თავადს კ. ვეზიროვს და ვახრჩობდი. რამაც მაყურებლები ძალიან აღელვა და რომ ხალხს არ წაერთმიათ ჩემთვის თავი კ. ვეზიროვი, უთუოდ დახრჩობს უკრიტიკოდ, საქმეში რაში იყო. ჩემსა და კ. ვეზიროვს შორის მოვლენა არის 1907 წლის აყალ-მყალი ხშირი მოვლენა არის 1907 წლის შემდეგ, როდესაც ამ წელს თფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა მომყიდა კ. ვეზიროვის მამული, ოსიურში. ჩემგან მისი მამულის ყიდვა კ. ვეზიროვს არ ესიამოვნა და მას შემდეგ დაიწყო ყოველის მხრით კენძა, ის მაბეზღებდა კიდეც, მიჩივლდა ბოჭაულთან, მაზრის უფროსთან, გუბერნატორთან, „მიროვოი სუდში“ მიროვოი პოსრედნიკთან და ათასგან სხვაგანაც, მაგრამ მას ვრსად ყურს ვერ ათხოვებდენ, ამით მას უნდა, რომ მაზარაძეს და ჯამაჭიაშვილს მამული წაართვას, ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ ჩემსა და კ. ვეზიროვს შორის ჩხუბი და აყალ-მაყალი იყოს. მართალია, ნამკათათვეს მე და კ. ვეზიროვს ეთვივიდა ლაპარაკი, ვეზიროვმა მოქმედებით შეურაცხყოფა მოვაყენე პირველმა, მეც ჩემის მხრით ხელცარიელი არ დავრჩენილვარ. ზემოთ აღნიშნული ინციდენტი მოხდა არა სადგურზე, არამედ სადგურიდან მოშორებით თითქმის ერთ ვერსზე ოქრონიძეს დვინის საწყობში.

ტ. ჯაფარიძე.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის № 9 ახალ ამბებში პოლიცია სცნობით, მოთავსებული იყო, რომ 12 ივლისს დაიჭირეს ჭურდობისათვის ალექსანდრე შადაევი, ამიტომ ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთით, ვაწყო საზოგადოებას, რათა ის შეცდომაში არ შევიდეს, რომ ჩემის გამორკვევით დაჭერილი არის ალექსანდრე ნიკიფორეს ძე შადაევი, ტომით რუსი, 38 წლისა, და არა მე.

ვსთხოვ სხვა რედაქციებსაც, რომელთაც ცნობა ქონდათ ვადაბეჭდონ ეს წერილი.

ალ. გ. შადაევი.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. დადიშკელიანი.

სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთათ ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—1

ქიათურის შავი ქვის ვაგონებზე მომუშავე ძველი მუშები აცხადებენ ამ უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში წასულ ამხანაგ მუშების საყურადღებოთ, რომ ვინც საერთო სიაში იყო ძველ მუშებთან ჩაწერილი, შეუძლიათ დაბრუნდენ სამუშაოზე ერთი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა. ვინც ამ ვადაში ე. ი. ერთი თვეში არ გამოცხადდება ის ამოიშლება სიიდან და ადგილი დაიკარგებათ.

ძველი მუშების მონდობილებით
კირილე ხიხარულიძე 4—3

სასტუმრო
„პოლჯოში“
თფილისი, ვოგზლის ქ., №-17.

ახლათ შეკეთებული ხუთის ოთახები ხელმისაწვდომ ფასებში: დღე და ღამით 50 კ — 3 მან., თვიურათ ძლიერ დაკლებულ ფასებში.

პატივისცემით **მიხაილ ქოიავა და ევგენი პერტენავა.** 4—1.

დაჯილდოვებულია
დიდი **ვერცხ.** და **ოქროს** მედ.
მეტათ კარგი ღირსებისათვის
ნ ა ფ რ ო - ლ ი ქ ე ი ო ი წ ყ ა ლ ი
ზემშედის ძველი ზავოდის

თფილისი, ველიკოკნიაჟ. 40, ტელეფონი 216. ეკუთვნის საშუალება კუჭის კატარის და ქვის, თირკმლების, ღვიძლის და შარდის ბუშტის ავათმყოფობის წინააღმდეგ, აჭრობს სიმჟავეს, ადნობს და სწმენდავს ქვას და ქვიშას.

ფასი სამკურ. წყ. ბოთ. 18 კ. იქვე **ობერზალცბრუნ., გუნიადი-იანოს, ემსკის** და ვეგრეთვე **სელტერსკი, სოდის** და ყველა **ბილეულობის წყლებს.**

!!!გაფრთხილებას!!!

ჩვენ მოგვარეთა და ყალბი იაფლიკების გასარჩევათ ვთხოვთ მოითხოვონ წარწერა ყველა იაფლიკზე. დიდი „ვერცხ. და ოქროს“ მედლები და ზავ. მარკა კუმნი „ოსკარი“. (20—11)

ავათმყოფებს და სუსტებს
„სპერმატინი“

საყურადღებოთ ავათმყოფებისა და სუსტებისა, სპერ. არის საუკეთესო უტყუარი გამკურნავი წამალი და არჩენს შემდეგ სნეულებას.

1, არჩენს ცისტო-ნაკლეულობას და აახლებს მას.
2. ძილის სისუსტეს სიბერეში.
3. დაუძლურებულს ნერვების აშლილობას.
4 მემკვიდრეობის სიუძლურეს.
5. გადაჭარბებულს დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურს მუშაობის დროს.
6. ონანიზმს, ე. ი. ახალგაზდობის ცუდს ჩვეულებას.
7. წითელ ჭარს, სურავანდს, სიდამბლეს.
8. ქრონიკულს მუცლის შეკვრას, ე. ი. ყაბზობას.
9. ქალის ავათმყოფობას.
10. გულის სისუსტეს და გულის ფრიალსა.
11. რევმატიზმას და ხერხემლის ტვინის ტკივილსა.
12. ბუასილს, ბნედას.

ეს საშუალება ყველა ზევით მოხსენებულს ავათმყოფობას არჩენს, როდესაც არის შესრულებული კურსი, და არის მიღებული დარიგებისა და გვართ და დიეტას ვინც ყურადღებას აქცევს, რომელიც ახლავს ფლაკონებს, და ვისაც არ შეუძლიან დიეტის შესრულება, ყურძენი ტყუილა ნუ იხარჯება და იმ შემთხვევაში წამლის ხმარება უქმი არის, კურსი შესდგება 20 წლიდან ზევით 4 ფლაკონი, 7-მდე. ქალისათვის ეს წესი არის საჭირო. ბავშვისთვის ერთი ფლაკონი საკმაო არის 2 წლ. და 2 ფლ. 4 წლ., 3 ფლ. 7 წ., 4 ფ. 20 წლ. გამოწერა შეიძლება ჩემს კანტორიდან და შეგიძლიანთ მოიკითხოთ აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიებში.

წიგნაკები უფასოთ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ., მთავარი ლაბორატორია მოსკოვში, ექიმი ივანოვისა. დარიგება თან ახლავს ფლაკონებს.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისთვის **ი. ბ. ახობაძე.**

კანტორა და სკლადი თფილისში, წერკასოვის ქუჩა № 14. ვორონცოვის ძეგლთან.

პროვოდნიკის
ამხანაგობა
რიგაში

ФАБРИЧ. ПРОВОДНИКЪ РИГА ТОРГ. КЛЕЙМО
1888

1908 წ.

საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის
თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.

იყიდება ნარდათ და ცალობით

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთული ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.
დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.
დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.
რეზინის ღრუბელი.
№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.

ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო
№ 2. გალოშების „პროვოდნიკისა“

(25—ნ.—26).